სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებითი უზრუნველყოფის პროგრამა

---

1. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ბენეფიციარი უნდა იყოს რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 120 000-ს.

2. ბენეფიციართა შერჩევისას თანაბარი ქულის ქონის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება:

ა) საპენსიო ასაკს;
ბ) ოჯახის შრომისუუნარო წევრ(ებ)ის(შშმ პირი) ყოლას;
გ) დედ-მამით ობოლ ბავშვებს;
დ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული ოჯახების წევრებს;
ე) გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრებს;
ვ) იშვიათი გამონაკლისის (სოციალურ სააგენტოში არ უფიქსირდება სარეიტინგო ქულა ან 120 000 ქულაზე მეტია) შემთხვევაში, „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამის“ განმახორციელებელი ა(ა)იპ „წალენჯიხის სათნოების სახლის“ დირექტორი გადაწყვეტს მოქალაქის ბენეფიციარად დარეგისტირებას, მერიის წარმომადგენლის (შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში) წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე.
ზ) ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კატეგორიის ბენეფიციართა რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ამ პროგრამით მოსარგებლეთა საერთო რაოდენობის 10%-ს.

3. პროგრამის განხორციელებას (განცხადების მიღება, ბენეფიციართა შერჩევა და სხვა) სამოქმედო ტერიტორიაზე (ქ.ჯვარი, ქ.წალენჯიხა) უზრუნველყოფს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წალენჯიხის სათნოების სახლი“.